დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2013 წლის 26 სექტემბრის №3 ოქმით
ახალი რედაქცია დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2022 წლის 03 მარტის №3 ოქმით

ა(ა)იპ ნიუ ვიჟენ - უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და კვლევითი საქმიანობის განხორციელების დებულება

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 3

მუხლი 1. მოწესრიგების სფერო 3

მუხლი 2. უნივერსიტეტის მართვის და საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულები 3

მუხლი 3. გადაწყვეტილებების მიღების ზოგადი პრინციპები 3

მუხლი 4. უნივერსიტეტის ღირსების (კეთილსინდისიერების) პოლიტიკა 3

თავი II. აკადემიური და მოწვეული პერსონალი 4

მუხლი 5. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განმახორციელებელი პერსონალი 4

მუხლი 6. აკადემიური თავისუფლება 4

მუხლი 7. აკადემიური თანამდებობების სახეები 4

მუხლი 8. მოწვეული პერსონალი 5

მუხლი 9. მკვლევარი 5

მუხლი 10. განსაკუთრებული წოდება და მისი მინიჭების წესი 5

მუხლი 11. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა 6

თავი III. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი 7

მუხლი 12. კონკურსის გამოცხადება 7

მუხლი 13. კონკურსის ჩატარება 7

მუხლი 14. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება 8

მუხლი 15. აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნა 8

მუხლი 16. ატესტაცია 9

თავი IV. საგანმანათლებლო პროგრამა 9

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება და აკრედიტაციაზე/ავტორიზაციაზე წარდგენა 9

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაცია 11

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შედეგები 11

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება 12

მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის მოდული 12

მუხლი 22. სილაბუსი 12

მუხლი 23. კვლევითი ნაშრომი 13

თავი V. სტუდენტი 13

მუხლი 24. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მიზანი 13

მუხლი 25. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის სამიზნე ნიშნულები 14
მუხლი 26. უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობები 16
მუხლი 27. ხელშეკრულების გაფორმება 17
მუხლი 28. აკადემიური რეგისტრაცია 17
მუხლი 29. მობილობა 17
მუხლი 30. სტუდენტის სტატუსის შეჩერება 17
მუხლი 31. სტუდენტის სტატუსის აღდგენა 18
მუხლი 32. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა 18
მუხლი 33. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობა 18
მუხლი 34. სწავლების ენა 19
მუხლი 35. სტუდენტის სასწავლო დატვირთვის კრედიტებით გაანგარიშება 19
მუხლი 36. პროგრამის კომპონენტი 19
მუხლი 37. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი 19
მუხლი 38. ცოდნის შეფასება 20
მუხლი 39. გამოცდაზე სტუდენტის ქცევის წესები 20
მუხლი 40. შეფასების გასაჩივრება 21
მუხლი 41. გამოცდის აღდგენა 21
მუხლი 42. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა 22
მუხლი 43. სტუდენტის სტატუსთან შეუსაბამო ქცევა და პასუხისმგებლობის პროცედურა 22

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. მოწესრიგების სფერო

ეს დებულება განსაზღვრავს უნივერსიტეტის საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის წარმართვის ზოგად წესებს, ასევე სტუდენტთა სტატუსთან დაკავშირებულ საკითხებს.

მუხლი 2. უნივერსიტეტის მართვის და საგანმანათლებლო/სამეცნიერო-კვლევითი სტრუქტურული ერთეულები

1. უნივერსიტეტის მართვის ორგანოების - აკადემიური და წარმომადგენლობითი საბჭოების სტატუსი და ფუნქციები განსაზღვრულია უნივერსიტეტის წესდებით.
2. სკოლა უნივერსიტეტის ძირითადი საგანმანათლებლო და სამეცნიერო-კვლევითი ერთეულია. სკოლის წარმომადგენლობითი ორგანოა სკოლის საბჭო, რომელსაც ხელმძღვანელობს მის მიერვე არჩეული სკოლის დეკანი. სკოლის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიძლება შეიქმნას: დეპარტამენტები (მიმართულებები), ინსტიტუტები, ცენტრები, ლაბორატორიები, ასევე სხვა საგანმანათლებლო და/ან სამეცნიერო-კვლევითი ერთეულები. მათი საქმიანობის წესი დგინდება შესაბამისი ერთეულის დებულებით.
3. უნივერსიტეტის სტრუქტურის ორგანიზაციული სქემა ამ დებულების პირველი დანართია.

მუხლი 3. გადაწყვეტილებების მიღების ზოგადი პრინციპები

1. უნივერსიტეტში მოქმედებს გადაწყვეტილების კონსენსუსით მიღების ზოგადი პრინციპი.
2. აკადემიური პერსონალი და სტუდენტი უფლებამოსილია, ჩაერთოს საუნივერსიტეტო თუ სასკოლო განხილვებში და მონაწილეობა მიიღოს გადაწყვეტილების მიღების პროცესში საქართველოს კანონმდებლობით, უნივერსიტეტის წესდებით და ამ დებულებით დადგენილი წესით.
3. გადაწყვეტილების მიღების პროცესში გათვალისწინებულ უნდა იქნეს უნივერსიტეტის მიზნები და სტრატეგიული ამოცანები, რათა ხელი შეეწყოს გადაწყვეტილების მიმღებისა და სხვათა ინტერესების მაქსიმალურად თანმხვედრი გადაწყვეტილების ფორმირებას.
4. ცალკეული საკითხის განხილვის მოსამზადებლად, მისი მნიშვნელობიდან გამომდინარე, შესაძლებელია შეიქმნას როგორც მუდმივმოქმედი, ისე დროებითი კომისია. კომისიის ფორმირებას ახდენს და საქმიანობის წესს განსაზღვრავს ის სტრუქტურული ერთეული, რომლის კომპეტენციასაც განეკუთვნება შესაბამისი საკითხის მომზადება.
5. საუნივერსიტეტო თუ მისი ცალკეული სტრუქტურული ერთეულის გადაწყვეტილების ფორმირების პროცესში უზრუნველყოფილი უნდა იყოს იმ პირის ჩართულობა, რომლის უფლებრივ მდგომარეობაზეც შესაძლოა გავლენა მოახდინოს გადაწყვეტილებამ.
6. შედეგობრივი თვალსაზრისით, თანაზომიერად ეფექტიანი გადაწყვეტილებების არსებობისას უპირატესობა ენიჭება უფრო ეკონომიურ, სწრაფ და გამჭვირვალე გადაწყვეტას.
7. ფინანსური ეფექტის მქონე გადაწყვეტილების მიღებისას უზრუნველსაყოფია, მინიმუმ, სამი ალტერნატიული შემოთავაზების განხილვა.
8. ნებისმიერი თანამდებობის დასაკავებლად ცხადდება საუნივერსიტეტო ან ღია კონკურსი.

მუხლი 4. უნივერსიტეტის ღირსების (კეთილსინდისიერების) პოლიტიკა

1. უნივერსიტეტი ახალისებს ინდივიდის განვითარებას, მის შესაძლებლობას გააზიაროს ცოდნა, უნარები და ღირებულებები საზოგადოების საკეთილდღეოდ. უნივერსიტეტი აღიარებს, რომ კეთილსინდისიერება, როგორც საერთო ღირებულება, არის ნებისმიერი ინტელექტუალური საქმიანობის საფუძველი. საუნივერსიტეტო საზოგადოების წევრობა გულისხმობს გულწრფელობას წყაროების იდენტიფიცირებისას, მიკუთვნების სიზუსტის დაცვისას, მათი განმარტებისა თუ დასკვნების ფორმირებისას. აკადემიურ პატიოსნება მოიაზრებს სხვათა

ნებისმიერი კონტრიბუციის აღიარებისას, - თითოეულის წვლილი იმსახურებს სათანადო დაფასებას.

2. უნივერსიტეტის ღირსების (კეთილსინდისიერების) პოლიტიკა ვრცელდება სწავლა/სწავლების და სამეცნიერო საქმიანობის ნებისმიერ პროცესსა თუ პროდუქტზე.
3. დაუშვებელია აკადემიური კეთილსინდისირების დარღვევის (პლაგიატიზმის) ნებისმიერი ფორმა, მათ შორის, თვითპლაგიატი ან პერიფრაზირებული პლაგიატი.
4. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს კვლევითი ნაშრომის ტექსტის შემოწმებას მექანიკური დამთხვევის თანამედროვე, ეფექტიანი საშუალებით და დგება წყაროებთან დამთხვევის პროცენტულობის ანგარიში. ანგარიში ეგზავნება სტუდენტსა და ხელმძღვანელს. ხელმძღვანელი ნაშრომის დაცვაზე დაშვების გადაწყვეტილებას იღებს დამთხვევათა რევიზიის გათვალისწინებით. ნაშრომის ტექსტის დამთხვევის (სიტყვასიტყვითი ციტირების) ხვედრითი წილი ორიგინალ მასალასთან არ უნდა აღემატებოდეს 8 პროცენტს.
5. კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის ნაშრომის დაცვის ეტაპზე აღმოჩენის შემთხვევაში, სტუდენტს არ ენიჭება ქულა.
6. აკადემიური ხარისხის მინიჭების შემდეგ კეთილსინდისიერების სტანდარტის დარღვევის ფაქტის დროებითი კომისიის მიერ დადასტურების შემთხვევაში, აკადემიური ხარისხის მიმნიჭებელი ორგანო აუქმებს მინიჭებულ აკადემიურ ხარისხს.
7. შესაბამისი მიმართვის შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, შესაძლებელია შეიქმნას კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ფაქტის შემსწავლელი დროებითი კომისია არანაკლებ 3 წევრის შემადგენლობით.
8. დროებითმა კომისიამ გონივრული ვადაში უნდა მოიკვლიოს სავარაუდო დარღვევის დეტალები. მოისმინოს ყველა დაინტერესებული პირის, მათ შორის, ნაშრომის ავტორის მოსაზრება. დროებითი კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონსენსუსით.
9. დროებითი კომისიის მიერ მიიღება შემდეგი სახის გადაწყვეტილებები:
   ა) კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ფაქტის დადასტურების შესახებ;
   ბ) კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის ფაქტის უარყოფის შესახებ.

თავი II. აკადემიური და მოწვეული პერსონალი

მუხლი 5. სასწავლო და სამეცნიერო-კვლევითი პროცესის განმახორციელებელი პერსონალი

1. უნივერსიტეტის სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესს ახორციელებს აკადემიური და მოწვეული პერსონალი.
2. საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელებაში შეიძლება მონაწილეოდეს პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კვალიფიკაცია. კვალიფიკაციის შესაბამისობის შეფასებისას მხედველობაში მიიღება პირის აკადემიური ხარისხი, მიღებული სპეციალური განათლება, პუბლიკაციები ან/და პროფესიული გამოცდილება.

მუხლი 6. აკადემიური თავისუფლება

1. აკადემიური და მოწვეული პერსონალი თავისუფალია სწავლებისა და კვლევის პროცესში.
2. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის ან მისი ნაწილის განმახორციელებელი თავად წყვეტს კომპონენტის შინაარსსა და სწავლების მეთოდს, თუმცა ვალდებულია, გაითვალისწინოს საგანმანათლებლო კომპონენტის სწავლების შედეგების მისაღწევად აუცილებელი ღონისძიებები.

მუხლი 7. აკადემიური თანამდებობების სახეები

1. აკადემიური პერსონალია: პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი. აკადემიური პერსონალი ანგარიშვალდებულია სკოლის საბჭოსა და დეკანის წინაშე.

2. პროფესორი ხელმძღვანელობს დეპარტამენტს (მიმართულებას), პროგრამას ან მოდულს, სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. იგი პასუხისმგებელია საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისი მიმართულების ხარისხზე, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმართვაზე.
3. ასოცირებული პროფესორი წარმართავს სტუდენტების სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, ცალკეულ მოდულს ან პროგრამის კომპონენტ(ებ)ს, ასევე შესაძლებელია ხელმძღვანელობდეს საგანმანათლებლო პროგრამას ან დეპარტამენტს (მიმართულებას).
4. ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტი ხელს უწყობს პროფესორს ან ასოცირებულ პროფესორს მოდულის ან პროგრამით გათვალისწინებული ცალკეული კომპონენტის განხორციელებაში.
5. დატვირთვის მიხედვით, პერსონალი იყოფა სრული და ნაწილობრივი საშტატო განაკვეთით დასაქმებულ პირებად. ამასთან, ორივე კატეგორიის აკადემიური პერსონალი შეიძლება იყოს აფილირიებული უნივერსიტეტთან.
6. აფილირებულია აკადემიური პერსონალი, რომლის სამეცნიერო-კვლევითი შედეგები და მესამე პირებთან სამეცნიერო კომუნიკაცია ასოცირდება უნივერსიტეტთან. აფილირების შინაარსი შეიძლება დაზუსტდეს უნივერსიტეტთან გაფორმებული შეთანხმებით. აფილირების მიუხედავად, უნივერსიტეტის თითოეული წევრი თანაბრად მონაწილეობს უნივერსიტეტის მისიიდან გამომდინარე მიზნების რეალიზებაში, მათ შორის, საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესში.
7. აფილირებულ პერსონალს სრულად აქვს გააზრებული აფილირების არსი და, მისთვის დელეგირებული უფლებამოსილებების ფარგლებში, გაცნობიერებულად შეაქვს წვლილი უნივერსიტეტის განვითარებაში, რაც დასტურება მხარეთა აფილირების შეთანხმებით.
8. მხოლოდ აფილირებული პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი და ასისტენტია უფლებამოსილი, ხმის უფლებით მონაწილეობდეს აკადემიური ან წარმომადგენლობითი საბჭოს საქმიანობაში.

მუხლი 8. მოწვეული პერსონალი

1. უნივერსიტეტი უფლებამოსილია, აკადემიური თანამდებობის დაკავების გარეშე, მოიწვიოს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე სპეციალისტი სასწავლო ან/და სამეცნიერო კვლევით პროცესში მონაწილეობის მისაღებად.
2. მოწვეული პერსონალის კვალიფიკაცია ფასდება პირის აკადემიური ხარისხით, მიღებული სპეციალური განათლებით, პუბლიკაციებით ან/და პროფესიული გამოცდილებით.

მუხლი 9. მკვლევარი

1. მკვლევარი არის სკოლის ფარგლებში დაფუძნებული დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის სამეცნიერო პერსონალი, რომელიც ახორციელებს სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. იგი უფლებამოსილია მონაწილეობდეს სასწავლო პროცესში და ხელმძღვანელობდეს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას. სამეცნიერო პერსონალის სამსახურში მიღების წესსა და პირობებს ადგენს სკოლის საბჭო. სამეცნიერო პერსონალთან ფორმდება შრომის ხელშეკრულება.
2. პოსტდოქტორანტი არის დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირი, რომელიც კონკრეტული სამეცნიერო-კვლევითი პროექტის განსახორციელებლად შესაძლებელია დასაქმდეს ვადიანი შრომითი ხელშეკრულების საფუძველზე სკოლის სამეცნიერო-კვლევით ერთეულში, სკოლის საბჭოს მიერ განსაზღვრული წესით.

მუხლი 10. განსაკუთრებული წოდება და მისი მინიჭების წესი

1. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, უნივერსიტეტის წინაშე განსაკუთრებული დამსახურებისათვის მიანიჭოს 65 წლის ასაკს მიღწეულ პროფესორს ემერიტუსის აკადემიური

წოდება. ემერიტუსი უფლებამოსილია მონაწილეობა მიიღოს სასწავლო და სამეცნიერო-კვლევით პროცესში.

2. აკადემიური საბჭო უფლებამოსილია საუნივერსიტეტო ღირებულებებისადმი ერთგულების დადასტურებით, სამეცნიერო-კვლევითი მიღწევების ან საზოგადოების წინაშე სხვა განსაკუთრებული დამსახურებისთვის პირს მიანიჭოს ერთ-ერთი შემდეგი სტატუსი:

ა) საპატიო დოქტორი (doctor honoris causa) - უნივერსიტეტის განვითარებაში შეტანილი განსაკუთრებული წვლილისთვის, განსაკუთრებული საგანმანათლებლო, სამეცნიერო-კვლევითი ან/და პროფესიული საქმიანობისთვის;
ბ) აფილირებული მკვლევარი (Research Affiliate) - უნივერსიტეტის კვლევითი პროდუქტიულობის განვითარების ხელშეწყობისათვის, მათ შორის კვლევითი გრანტის მაძიებლობისათვის, პუბლიკაციის ან სხვა სახის კვლევის შედეგის ავტორობისა თუ თანაავტორობისათვის;
გ) თანამოაზრე (Affiliate per Shared Values) - დოქტორანტებისა თუ მაგისტრანტების თანახელმძღვანელობისათვის ან საუნივერსიტეტო კვლევაში ჩართულობისათვის.

მუხლი 11. აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა

1. პერსონალის ინდივიდუალური დატვირთვა განისაზღვრება სასწავლო წელზე გათვლილი დატვირთვის სქემით, რომელსაც ამტკიცებს შესაბამისი სკოლის საბჭო. დატვირთვის სქემის კომპონენტების ჩამონათვალსა და ზღვრულ მოცულობას, სკოლის საბჭოს წარდგინების საფუძველზე, ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
2. დატვირთვა სრულ განაკვეთზე შეადგენს წელიწადში 1760 საათს (კვირაში 40 საათს 44 კვირის განმავლობაში) და მოიცავს სასწავლო საქმიანობას, სამეცნიერო-კვლევით საქმიანობას, კონსულტაციებსა და საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობას. ნაწილობრივი განაკვეთით (წელიწადში 880-საათიანი დატვირთვით) დასაქმებულ პირზე აკადემიური პერსონალის დატვირთვის სქემა ვრცელდება მისი დატვირთვის პროპორციულად.
3. სასწავლო საქმიანობა მოიცავს საუდიტორიო დატვირთვას, ლექციისა და ცოდნის შემოწმების კომპონენტების მომზადებას, სტუდენტის ნაშრომების გასწორებას ან ცოდნის სხვაგვარ შეფასებას, ასევე შეიძლება ითვალისწინებდეს ახალი სასწავლო პროგრამის, მოდულისა თუ პროგრამის ცალკეული კომპონენტის შემუშავებას, დოქტორანტებისა და მაგისტრანტების ხელმძღვანელობას.
4. სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობა შეიძლება მოიცავდეს: უნივერსიტეტის სახელით განხორციელებული პუბლიკაციების მომზადებას, თარგმნას, რედაქტირებას, რეცენზირებას, საგრანტო პროექტის მომზადებას, კვლევითი პროექტის განხორციელებას, კვლევაში მაგისტრანტებისა და დოქტორანტების ჩართვას, სამეცნიერო კონფერენციის ორგანიზებას ან საკონფერენციო სიტყვის მომზადებას. მონოგრაფიებისა და სახელმძღვანელოების შემუშავება-გამოქვეყნება შესაძლებელია განხორციელდეს სამ წელიწადში ერთხელ, ერთი სემესტრით სასწავლო პროცესისგან გათავისუფლების (მკვლევრის სტატუსით დასაქმების) ფორმატით.
5. საუნივერსიტეტო ღონისძიებებში მონაწილეობა შეიძლება მოიცავდეს ჩართულობას: საუნივერსიტეტო და სასკოლო მართვის ორგანოებისა თუ კომისიების მუშაობაში, ცალკეული ადმინისტრაციული ერთეულის ფუნქციების განხორციელებაში, საგანმანათლებლო პროგრამის მიღმა დაგეგმილ საქმიანობაში, საერთაშორისო თანამშრომლობის გაღრმავებასა და საზოგადოებრივი ურთიერთობების წარმართვაში. მუდმივი ადმინისტრაციული ფუნქციის შეთავსების შემთხვევაში, აკადემიური პერსონალის სავალდებულო დატვირთვა მცირდება 50 %-ით.
6. პერსონალს, რომელსაც დატვირთვა აქვს სრული აკადემიური წლის განმავლობაში, ხელშეკრულებით გათვალისწინებული ანაზღაურება ეძლევა ყოველთვიურად 12 თვის განმავლობაში. წლიური დატვირთვის საათების გადაჭარბებით შესრულების შემთხვევაში,

სკოლის დეკანის გადაწყვეტილებით, ზეგანაკვეთურად შესრულებული საათები შეიძლება ჩაითვალოს მომდევნო სასწავლო წლის დატვირთვაში შესრულებულ საათებად ან გაიცეს მისთის დამატებითი ანაზღაურება.

7. მოწვეულ და იმ აკადემიური პერსონალს, რომლის სემესტრული დატვირთვა ნაწილობრივ განაკვეთზე ნაკლებია, ანაზღაურება ეძლევა საათობრივი გაანგარიშებით.

თავი III. აკადემიური თანამდებობის დაკავების წესი

მუხლი 12. კონკურსის გამოცხადება

1. აკადემიური თანამდებობის დაკავება ხდება ღია კონკურსის წესით გამჭვირვალობის, თანასწორობისა და სამართლიანობის პრინციპების დაცვით.
2. კონკურსი ცხადდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით, საბჭოს წევრის ინიცირებით ან შესაბამისი სკოლის წარდგინების საფუძველზე. გადაწყვეტილებით განისაზღვრება კონკურსის პირობები და ვადები. ინფორმაცია კონკურსის შესახებ ქვეყნდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე, ასევე დასაქმების რეიტინგულ ვებგვერდზე ან/და ბეჭდურ მედიაში.
3. საკონკურსო დოკუმენტაციის მიღება იწყება კონკურსის ჩატარების შესახებ ინფორმაციის გამოქვეყნებიდან არანაკლებ ერთი თვისა და გრძელდება კონკურსის გამოცხადებიდან არანაკლებ 45 კალენდარული დღისა.
4. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით იქმნება დროებითი საკონკურსო კომისია კონკურსის ჩატარების ვადით.
5. საკონკურსო კომისიის შემადგენლობაში შედის იმ სკოლ(ებ)ის აკადემიური პერსონალი, რომლის საგანმანათლებლო პროგრამისთვისაც ცხადდება კონკურსი. საკონკურსო კომისიის წევრად სკოლა უპირატესად წარადგენს შესაბამისი მიმართულების სპეციალისტ(ებ)ს. საჭიროების შემთხვევაში, საკონკურსო კომისიაში შესაძლებელია სათანადო კვალიფიკაციების სხვა სპეციალისტ(ებ)ის მოწვევა.

მუხლი 13. კონკურსის ჩატარება

1. კონკურსს ატარებს საკონკურსო კომისია. კონკურსის ჩატარება გულისხმობს საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვას და კონკურსანტის შეფასებას ამ დებულებით დადგენილი კრიტერიუმებით.
2. კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია, თუ სხდომას ესწრება წევრთა, სულ მცირე, 2/3.
3. გამოცხადებულ ვაკანსიაზე კონკურსანტების არარსებობის შემთხვევაში, დგება ოქმი კონკურსის არშემდგარად გამოცხადების შესახებ.
4. კონკურსანტის შეფასება ხდება კანონმდებლობით დადგენილი (ძირითადი) და საუნივერსიტეტო (დამატებითი) კრიტერიუმებით. ერთ-ერთი ძირითადი კრიტერიუმის დაუკმაყოფილებლობის შემთხვევაში (გარდა ამავე მუხლის მე-6 პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევისა), კონკურსანტს ეძლევა დისკვალიფიკაცია. დამატებითი კრიტერიუმები მხედველობაში მიიღება ძირითადი კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში და ემსახურება კონკურსანტებს შორის წარმატებულის გამოვლენას.
5. კანონმდებლობით დადგენილი (ძირითადი) კრიტერიუმებია:

   ა) აკადემიური ხარისხი: პროფესორის, ასოცირებული და ასისტენტ-პროფესორის აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად სავალდებულოა დოქტორის აკადემიური ხარისხი, ხოლო ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე შეიძლება არჩეულ იქნეს დოქტორანტი;

   ბ) სამეცნიერო-პედაგოგიური გამოცდილება: პროფესორს უნდა ჰქონდეს სამეცნიერ- პედაგოგიური მუშაობის არანაკლებ 6, ხოლო ასოცირებული პროფესორს არანაკლებ 3 წლის გამოცდილება;

გ) მედიცინის ერთსაფეხურიანი საგანამანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით განსაზღვრული, კლინიკურ მიმართულებებზე ადამიანური რესურსებისადმი წაყენებული მოთხოვნები.

6. გამონაკლისის სახით, აკადემიური თანამდებობის დაკავება შესაძლებელია განისაზღვროს პროფესიული ნიშნით კვალიფიციური პერსონალის მიერ, დოქტორის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის გარეშეც, თუ პირის კვალიფიკაცია დასტურდება პროფესიული გამოცდილებით, სპეციალური მომზადებით ან/და პუბლიკაციებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მქონედ ითვლება პირი, რომელსაც აქვს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია.
7. საუნივერსიტეტო (დამატებითი) კრიტერიუმებია:

   ა) სილაბუსი/სილაბუსები, რომლებიც ფასდება შინაარსის, სწავლის შედეგებისა და მათი მიღწევის მეთოდების ადეკვატურობით;

   ბ) სამეცნიერო ნაშრომი, გამოქვეყნებული ბოლო 10 წლის განმავლობაში;

   გ) სამეცნიერო სტიპენდიები და გრანტები, მიღებული ბოლო 5 წლის განმავლობაში;

   დ) სამეცნიერო კონფერენციებსა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში მონაწილეობა ბოლო 5 წლის განმავლობაში.
8. საკონკურსო კომისიის მიერ საკონკურსო დოკუმენტაციის შესწავლა და შეფასება ხდება კონკურსანტთა მონაწილეობის გარეშე. კომისიის წევრთა გადაწყვეტილებით, კონკურსანტი შეიძლება მოწვეულ იქნეს ინტერვიუზე ან/და ეთხოვოს საჯარო ლექციის (პრეზენტაციის) ჩატარება მის მიერ წარმოდგენილი სილაბუსით განსაზღვრულ ერთ-ერთ საკითხზე.
9. საკონკურსო დოკუმენტაციის განხილვის შემდეგ კომისია იღებს გადაწყვეტილებას ღია კენჭისყრით ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში, გადამწყვეტია კომისიის თავმჯდომარის ხმა.
10. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით, რომელსაც ხელს აწერს საკონკურსო კომისიის თავმჯდომარე. საკონკურსო კომისიის სხვა წევრები კომისიის მუშაობაში მონაწილეობას ადასტურებენ სხდომაზე დასწრების ფურცლის ხელმოწერით.
11. საკონკურსო კომისიისა გადაწყვეტილება ეცნობება ყველა კონკურსანტს გასაჩივრების ვადის მითითებით.

მუხლი 14. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს აკადემიური საბჭოს მიერ კონკურსის მიზნებისთვის შექმნილ დროებით სააპელაციო კომისიაში გასაჩივრების დადგენილ ვადაში. სააპელაციო კომისიაში არ შეიძლება მონაწილეობდეს პირი, რომელიც იყო იმ საკონკურსო კომისიის წევრი, რომლის გადაწყვეტილებაც საჩივრდება.
2. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, სხდომაზე მოიწვიოს კონკურსანტი, აგრეთვე საკონკურსო კომისიის წევრ(ებ)ი. კონკურსანტი უფლებამოსილია, აზრის გამოთქვას სააპელაციო კომისიის სხდომაზე.
3. სააპელაციო კომისია უფლებამოსილია, შეცვალოს საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება და შესაბამისი შუამდგომლობა წარუდგინოს აკადემიურ საბჭოს. მიღებული გადაწყვეტილება ფორმდება ოქმით.

მუხლი 15. აკადემიურ თანამდებობებზე დანიშვნა

1. აკადემიურ თანამდებობებზე კონკურსანტის დანიშვნა ფორმდება აკადემიური საბჭოს აქტით, რომელიც ქვეყნდება კანონმდებლობით დადგენილი წესით. არჩეულ პერსონალთან იდება შრომითი ხელშეკრულება.
2. პირი, პროფესორისა და ასოცირებული პროფესორის აკადემიურ თანამდებობაზე აირჩევა უვადოდ, ხოლო ასისტენტ-პროფესორისა და ასისტენტის აკადემიურ თანამდებობაზე - სამი წლის ვადით.

მუხლი 16. ატესტაცია

1. უვადოთ არჩეული აკადემიური პერსონალი ექვემდებარება სავალდებულო ატესტაციას 5 (ხუთი) წელიწადში ერთხელ.
2. ატესტაციის მიზანია შესაბამისი აკადემიური პერსონალის, პროფესიული უნარების, აკადემიური საქმიანობისა და სამეცნიერო საქმიანობის დაკავებული თანამდებობისათვის წაყენებულ მოთხოვნებთან შესაბამისობის შემოწმება/დადასტურება.
3. ატესტაციის ჩატარებას უზრუნველყობს აკადემიური საბჭოს მიერ შექმნილი საატესტაციო კომისია, აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი წესით.
4. ატესტაცია ხორციელდება ამ დებულებით გათვალისწინებული დატვირთვის სქემის ანალიზის საფუძველზე, რომელიც სრულად ასახავს ინფორმაციას აკადემიური პერსონალის სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობასა და განხორციელებული აქტივობების შესახებ.
5. საატესტაციო კომისიის გადაწყვეტილებები ფორმდება ოქმით, რომელიც წარედგინება აკადემიურ საბჭოს.

თავი IV. საგანმანათლებლო პროგრამა

მუხლი 17. საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვა-შემუშავება და აკრედიტაციაზე/ავტორიზაციაზე წარდგენა

1. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ან მასში ცვლილების შეტანის ინიცირების უფლებამოსილება აქვს შესაბამისი კვალიფიკაციის ნებისმიერ პირს ან სკოლას.
2. საგანმანათლებლო პროგრამა ან მასში ცვლილებები, სკოლის საბჭოს მიერ ხარისხის კულტურის კომიტეტის დადებითი დასკვნით წარედგინება აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად.
3. აკადემიური საბჭო ამტკიცებს საგანმანათლებლო პროგრამას ან სკოლას აწვდის მოტივირებულ შენიშვნებსა და რეკომენდაციებს. აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილება ეფუძნება შრომის ბაზრის ანალიზს, რომელიც შესაძლებელია ითვალისწინებდეს შრომის ბაზარზე ახალი პროფესიის ან ინტერდისციპლინური მიმართულების დამკვიდრების აუცილებლობას. შრომის ბაზრის კვლევას ახორციელებს პროექტების მართვის ოფისი შესაბამისი სკოლის აქტიური მონაწილეობით.
4. აკადემიური საბჭო ამტკიცებს პროგრამას, თუ დადასტურებულად მიიჩნევს, რომ:
   ა) პროგრამის სწავლის შედეგები უზრუნველყოფს კურსდამთავრებულთა კონკურენტუნარიანობას საგანმანათლებლო და შრომის ბაზარზე;
   ბ) პროგრამის კომპონენტების ერთობლიობა უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას;
   გ) პროგრამის ყველა კომპონენტის შინაარსი, სწავლების მეთოდებისა და კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას, რაც ადეკვატურად აისახება შესაბამისი კომპონენტის სილაბუსში;
   დ) პროგრამა უზრუნველყოფილია ადამიანური და მატერიალური რესურსით.
5. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში მონაწილეობს:
   ა) სკოლის აკადემიური და მოწვეული პერსონალი;
   ბ) შესაბამისი მიმართულების, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მომიჯნავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების სტუდენტები. ასევე შესაძლებელია სხვა უნივერსიტეტის ანალოგიური პროგრამის სტუდენტების მოწვევაც;
   გ) შესაბამისი მიმართულების, ხოლო ასეთის არ არსებობის შემთხვევაში მომიჯნავე სპეციალობის საგანმანათლებლო პროგრამების კურსდამთავრებულები;
   დ)პოტენციური დამსაქმებლები;
   ე)დარგის ექსპერტები და პრაქტიკოსები.
6. საგანმანათლებლო პროგრამის მომზადების პროცესში, აგრეთვე მონაწილეობენ:
   ა) სტუდენტური სერვისების ცენტრი;

ბ) უცხოელ აბიტურიენტთა დეპარტამენტი (საჭიროების შემთხვევაში);
გ) საერთაშორისო ურთიერთობების დეპარტამენტი;
დ) პერსონალის განვითარების დეპარტამენტი;
ე) ფინანსური რესურსების მართვისა და ლოჯისტიკის დეპარტამენტი;
ვ) ბიბლიოთეკა.

7. საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავების ეტაპებია:
ა) სამუშაო პროცესში ჩართული მხარეების, არსებობის შემთხვევაში საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელის და/ან თანახელმძღვანელის განსაზღვრა;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამის მიზნების, მოსალოდნელი სწავლის შედეგებისა და საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურისა თუ მისი კომპონენტების ფორმირება;
გ) სილაბუსების შემუშავება;
დ) საგანმანათლებლო პროგრამისთვის საჭირო რესურსების იდენტიფიცირება და უზრუნველყოფის დაგეგმვა;
ე) საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში ჩართული პირების მიერ ინტერაქტიული განხილვა, გამოვლენილი საჭიროებებისა და მოთხოვნების, აგრეთვე უკუკავშირის საფუძველზე პროგრამის პროექტის პირველადი ვერსიის მოდიფიცირება;
ვ) შემუშავებულ პროგრამაზე თვითშეფასების ანგარიშის მომზადება, რომელშიც მონაწილეობს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავებაში მონაწილე ყველა პირი;
ზ) საგანმანათლებლო პროგრამისა და თვითშეფასების ანგარიშის სკოლის საბჭოს მიერ განხილვა და ხარისხის კულტურის კომიტეტისთვის წარდგენა.

8. ხარისხის კულტურის კომიტეტისათვის წარსადგენი პაკეტი შედგება:
ა) თვითშეფასების ანგარიში;
ბ) საგანმანათლებლო პროგრამა (რომელსაც თან უნდა ერთვოდეს პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი);
გ) პროგრამით გათვალისწინებული სასწავლო კურსების სილაბუსები;
დ) საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რეზიუმე (სადაც მოცემული უნდა იყოს ბოლო 10 წლის განმავლობაში გამოქვეყნებული ნაშრომების ჩამონათვალი), კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტაცია და უნივერსიტეტთან შრომითი ურთიერთობის დამადასტურებელი დოკუმენტი;
ე) პროგრამის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის (SWOT ანალიზი ან/და სხვა) ამსახველი დოკუმენტაცია;
ვ) ბაზრის კვლევა (ბაზრის მოთხოვნების, პროგრამის მოთხოვნადობის შესახებ ანგარიში);
ზ) პროგრამის შედგენაში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის დამადასტურებელი დოკუმენტები;
თ) მემორანდუმები პრაქტიკის განმახორციელებელ დაწესებულებებთან;
ი) საგანმანათლებლო პროგრამის ბიუჯეტი;
კ) ინტერნატიონალიზაციასთან დაკავშირებული დოკუმენტაცია;
ლ) დარგის ექსპერტებისა და პრაქტიკოსების მიერ განხორციელებული პროგრამის შეფასების დოკუმენტები (არსებობის შემთხვევაში);
მ) ასევე ის ინფორმაცია ან დოკუმენტები, რაც მოთხოვნილია შესაბამისი პროგრამის აკრედიტაციისთვის.

9. ხარისხის კულტურის კომიტეტი საგანმანათლებლო პროგრამის განხილვის საფუძველზე ამზადებს დასკვნას, საჭიროების შემთხვევაში, რეკომენდაციებს აძლევს შესაბამის სკოლას პროგრამის

შემდგომი დახვეწის თაობაზე.

10. აკადემიური საბჭოს მიერ პროგრამის დამტკიცების შემდეგ, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს განაცხადის სააკრედიტაციოდ წარდგენას.
11. სკოლა უფლებამოსილია განახორციელოს საგანმანათლებლო პროგრამა მის განხორციელებაზე უფლების (აკრედიტაციის/ავტორიზაციის) მოპოვების შემდეგ.

მუხლი 18. საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაცია

1. საგანმანათლებლო პროგრამის ახალი ვადით აკრედიტაციის მოსამზადებელი პროცესი წარიმართება წინა მუხლით განსაზღვრული წესით.
2. საგანმანათლებლო პროგრამის ხელახალი აკრედიტაციის საკითხი ასევე განიხილება იმ შემთხვევაში თუ საგანმანათლებლო პროგრამაში იცვლება ქვემოთ ჩამოთვლილთაგან ერთ-ერთი მაინც:
   ა) სწავლების ენა;
   ბ) მისანიჭებელი კვალიფიკაცია;
   გ) ხდება მისი სხვა საგანმანათლებლო პროგრამასთან გაერთიანება;
   დ) ხდება საგანმანათლებლო პროგრამის გაყოფა (თუ წინასწარ არ არის განსაზღვრული ცალკეულ პროგრამაზე თვითშეფასების წარდგენა).

3. განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრში, ახალი ვადით ან აკრედიტაციის განაცხადის წარდგენამდე 1 თვით ადრე, ხარისხის კულტურის კომიტეტს წინა მუხლის მერვე პუნქტით განსაზღვრული დოკუმენტების გარდა გადაეცემა შემდეგი:

   ა) მაგისტრატურის / სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში, ბოლო 5 წლის განმავლობაში დაცული სამაგისტრო /სადოქტორო ნაშრომების ჩამონათვალი (არსებობის შემთხვევაში);
   ბ) აკადემიური, მოწვეული და სამეცნიერო პერსონალის განვითარების მიზნით განხორციელებული ღონისძიებების (ტრეინინგები, სამუშაო მივლინებები, კვალიფიკაციის ასამაღლებელი კურსები, გაცვლითი, საერთაშორისო და/ან ადგილობრივი პროექტები, რომლებიც ემსახურება პროფესიული ან სწავლების უნარების განვითარებას) განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტები;
   გ) პოგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექნიზმის გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები;
   დ)სტუდენტთა/კურსდამთავრებულთა/დამსაქმებელთა/პერსონალის გამოკითხვის ფორმები, გამოკითხვის შედეგები და მათი გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტაცია;
   ე) პერსონალის პროფესიული საქმიანობის (სწავლებისა და კვლევის ხარისხის, საერთაშორისო მობილობის მაჩვენებელი და სხვა) შეფასებისა და ამ შეფასების პეროსნალის პროფესიულ განვითარებაში ეფექტიანად გამოყენების დამადასტურებელი დოკუმენტები;
   ვ) სტუდენტთა სამეცნიერო კვლევით პროგრამაში ჩართულის დამადასტურებელი დოკუმენტები;
   ზ) კურსდამთავრებულთა დასაქმების მაჩვენებლები;
   თ) სტუდენტთა მხარდაწერის ღონისძიებების დამადასტურებელი დოკუმენტები.

მუხლი 19. საგანმანათლებლო პროგრამის შეცვლის ან გაუქმების შედეგები

1. საგანამანთლებლო პროგრამაში ისეთი ცვლილებ(ებ)ის განხორციელებისას, რომელიც საჭიროებს ხელახალ აკრედიტაციას, ცვლილების განხორციელებამდე ჩარიცხული სტუდენტები სწავლას აგრძელებენ მოდიფიცირებულ საგანმანათლებლო პროგრამაზე, ინდივიდუალური სასწავლო გეგმით, ისე, რომ მიღწეულ იქნას ამ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგები.

2. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმებისას, უნივერსიტეტი უზრუნველყოფს პროგრამაზე არსებული სტუდენტების შემდგომ განათლებას:
   ა) უნივერსიტეტში სხვა თავსებად საგანამანთლებლო პროგრამაზე შიდა მობილობით;
   ბ) გარე მობილობის შეთავაზებით.
3. თუ უნივერსიტეტში არ ხორციელდება გაუქმებულ პროგრამასთან თავსებადი საგანმანათლებლო პროგრამა, უნივერსიტეტი სხვა ავტორიზებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან აფორმებს შეთანხმებას სტუდენტების მიერ გავლილი პროგრამის აღიარების შესახებ და მიღებული გადაწყვეტილების შესახებ აცნობებს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
4. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შესახებ შესაბამისი აქტის გამოცემიდან 30 კალენდარული დღის ვადაში, ინფორმაცია წერილობითი სახით უნდა ეცნობოს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
5. საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების თაობაზე გადაწყვეტილებას იღებს უნივერსიტეტის აკადემიური საბჭო, საკუთარი ინიციატივით ან სკოლის საბჭოს ან პროგრამის ხელმძღვანელის ან ხარისხის კულტურის კომიტეტის ინიციატივის საფუძველზე.

მუხლი 20. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება

1. სკოლა, ყოველი აკადემიური წლის ბოლოს, ახდენს მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასებას და წარუდგენს ხარისხის კულტურის კომიტეტს არაუგვიანეს შესაბამისი საანგარიშო წლის 30 ივლისისა.
2. უნივერსიტეტი, არანაკლებ 3 წელიწადში ერთხელ, საგანმანათლებლო პროგრამების თვითშეფასების ანგარიშს (ანგარიშებს) წარუდგენს განათლების ხარისხის განვითარების ეროვნულ ცენტრს.
3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება აკადემიური, მოწვეული და ადმინისტრაციული პერსონალის, სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლების, ექსპერტებისა და პრაქტიკოსების ჩართულობით. პროგრამის განხორციელებაში ჩართული მხარეების კმაყოფილების კვლევის შედეგებს განიხილავს ხარისხის კულტურის კომიტეტი.
4. საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მონიტორინგი და პერიოდული შეფასება ხორციელდება ხარისხის მართვის მექანიზმების მიხედვით, რომელიც მოცემულია ხარისხის კულტურის კომიტეტის დებულებაში.

მუხლი 21. საგანმანათლებლო პროგრამის მოდული

1. საგანმანათლებლო პროგრამა შეიძლება აიგოს მოდულების პრინციპით. მოდულში ერთიანდება კომპონენტები ერთმანეთთან პრერეკვიზიტული ან ალტერნატიული კავშირის პრინციპით და მიმართულია პროგრამით გათვალისწინებული ერთი ან რამდენიმე კომპეტენციის განვითარებაზე.
2. პრერეკვიზიტული კავშირის შემთხვევაში, ყოველი შემდგომი კომპონენტის გავლის წინაპირობაა წინა კომპონენტით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა; ალტერნატიული კავშირის შემთხვევაში, სწავლის შედეგები მიიღწევა მოდულში გაერთიანებული კომპონენტებიდან გარკვეული ნაწილის დაძლევით.

მუხლი 22. სილაბუსი

1. პროგრამის კომპონენტის მიზანი და სწავლის შედეგები, მათი მიღწევის მეთოდები, კრედიტების ოდენობა, შინაარსი, შეფასების სისტემა, სავალდებულო და დამხმარე ლიტერატურა აისახება სილაბუსში. შემუშავებისას გამოიყენება სილაბუსის საუნივერსიტეტო ფორმა. სილაბუსს შეიმუშავებს უშუალოდ ამ კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირი.
2. თუ კომპონენტის განხორციელებაზე სხვადასხვა პირია პასუხისმგებელი, შესაბამისი კომპონენტი შესაძლებელია შეთავაზებულ იქნეს ალტერნატიული სილაბუსებით.

მუხლი 23. კვლევითი ნაშრომი

1. სამაგისტრო ნაშრომის საშუალო მოცულობაა 10 000, ხოლო სადოქტორო ნაშრომის - 40 000 სიტყვა. ნაშრომი ბარდება შესაბამის სკოლას ნაბეჭდი (აკინძული) და ელექტრონული ფორმით.
2. ნაშრომი სრულდება საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ ენაზე. პროგრამის რამდენიმე ენაზე განხორციელების შემთხვევაში - ნაშრომი სრულდება სტუდენტის არჩევანის შესაბამისად.
3. ორთოგრაფიული, სტილისტური და გრამატიკული შეცდომების რაოდენობამ შეიძლება გავლენა მოახდინოს მის შეფასებაზე ან ჩაითვალოს ნაშრომის მიღებაზე უარის თქმის საფუძვლად.
4. ნაშრომი სრულდება A4 ფორმატში, ვერტიკალური ორიენტაციით, მინდორი ოთხივე მხარეს შეადგენს 25 მმ-ს. გამოიყენება შესაბამისი ენის უნიკოდით 12-იანი, სქოლიოში 10-იანი შრიფტი. ინტერვალია 1.5.
5. გვერდები ინომრება თანმიმდევრობით. დაუშვებელია თავისუფალი გვერდის ან სივრცის დატოვება.
6. ციტირების და ბიბლიოგრაფიის მითითებისას გამოიყენება უნივერსიტეტის გამომცემლობის მიერ განსაზღვრული სტანდარტები.
7. სათანადოა მითითება, თუ ნებისმიერი ციტატა მოცემულია ბრჭყალებში, ხოლო პერიფრაზი და აზრის ფორმირების წყარო იდენტიფიცირებადია სქოლიოს სახით და მითითებულია ავტორი, ნაშრომი, გამოქვეყნების წელი და გვერდი. ამ წესის ნებისმიერი დარღვევა განიხილება პლაგიატად.
8. ნაშრომი შედგება შემდეგი კომპონენტებისგან:
   ა) თავფურცელი;
   ბ) სარჩევი;
   გ) გამოყენებული აბრევიატურების ნუსხა;
   დ) შესავალი;
   ე) ძირითადი ტექსტი (თავები/ქვეთავები);
   ვ) დასკვნა;
   ზ) ბიბლიოგრაფია /გამოყენებული ლიტერატურის ნუსხა;
   თ) დანართები (ცხრილები/დიაგრამები).
9. თავფურცელზე მიეთითება უნივერსიტეტის დასახელება, ნაშრომის ავტორი, კვლევის სათაური, ხელმძღვანელი და ჩაბარების თარიღი (წელი).
10. სარჩევში აისახება ყველა თავისა და ქვეთავის დასახელება.
11. დისერტაციას ერთვის ციტირებული ლიტერატურის ნუსხა, ასევე განცხადება ნაშრომის ორიგინალობაზე.
12. საავტორო ქონებრივი უფლება ეკუთვნის ავტორსა და ნიუ ვიჟენ უნივერსიტეტს, ერთობლივად.

თავი V. სტუდენტი

მუხლი 24. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მიზანი

1. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის მიზანია სტუდენტთა ზღვრული რაოდენობების განსაზღვრა ინდივიდუალურად ყველა საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობისა და შეუფერხებელი განხორციელების უზრუნველსაყოფად.
2. სტუდენტთა კონტინგენტის საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრის ძირითადი ფაქტორებია:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების განმახორციელებელი (აკადემიური და მოწვეული) პერსონალის რაოდენობა;

ბ) ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის რაოდენობა;

გ) უნივერსიტეტის მფლობელობაში არსებული სასწავლო და დამხმარე ფართები;

დ) მატერიალური და საინფორმაციო რესურსები;

ე) ავტორიზაციის ვადით, უნივერსიტეტის სარგებლობაში არსებული მატერიალური რესურსები (მემორანდუმები/ხელშეკრულებები);

ვ) ეროვნულ საგანმანათლებლო ბაზარზე პროგრამის მიმართ არსებული მოთხოვნა (ტენდენცია);

ზ) საერთაშორისო საგანმანათლებლო ბაზარზე პროგრამის მიმართ არსებული მოთხოვნა (ტენდენცია);

თ) შრომითი ბაზრის ტენდენცია და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;

ი) პროგრამის სპეციფიკა;

კ) რეგულირებად პროფესიებში დიპლომის შემდგომი განათლების მიღების/სალიცენზიო გამოცდებზე გასვლისა და ჩაბარების მონაცემები;

ლ) სტუდენტების შენარჩუნების მაჩვენებელი;

მ) აქტიური და შეჩერებული სტატუსის მქონე სტუდენტების დინამიკა;

ნ) კურსდამთავრებულთა ხვედრითი წილი მიღებულ სტუდენტთა კონტინგენტში;

ო) სტუდენტთა შიდა და გარე მობილობების დინამიკა.

3. სტუდენტთა საერთო საუნივერსიტეტო კონტიგენტის განსაზღვრისას, დამატებით მხედველობაში მიიღება:

ა) საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობა ცალკეული მიმართულებით;

ბ) გამოსაცხადებელი ვაკანტური ადგილებისა და პოტენციურ კურსდამთავრებულთა რაოდენობებს შორის სხვაობა, ასევე სტუდენტთა მობილობის საპროგნოზო მაჩვენებელი;

გ) ავტორიზაციის ვადის ფარგლებში, არსებულ პროგრამებზე სტუდენტთა კონტინგენტის ჯამური რაოდენობა, სტუდენტის სტატუსის შეჩერების საპროგნოზო კოეფიციენტის გათვალისწინებით.

მუხლი 25. სტუდენტთა კონტიგენტის დაგეგმვის სამიზნე ნიშნულები

1. ადამიანური რესურსი:

ა) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო აკადემიურ პერსონალსა და სტუდენტთა კონტინგენტის ზღვრულ რაოდენობას შორის თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/20-ს;

ბ)აკადემიური პერსონალის ხვედრითი წილი პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის მთლიან რაოდენობაში არ უნდა იყოს 30 %-ზე ნაკლები;

გ) აფილირებული პერსონალის რაოდენობის ხვედრითი წილი აკადემიური პერსონალის მთლიან რაოდენობაში არ უნდა იყოს 50%-ზე ნაკლები;

დ) სამეცნიერო ხელმძღვანელებისა და მაგისტრანტების/დოქტორანტების თანაფარდობა არ უნდა აღემატებოდეს 1/5-თან;

ე) ძირითადი ადმინისტრაციული პერსონალის თანაფარდობა სტუდენტთა კონტინგენტთან მიმართებით არ უნდა აღემატებოდეს 1/30-ს.

2. მატერიალურ-ტექნიკური რესურსი, რომელიც გულისხმობს სათანადო გარემოს არსებობას მაღალი ხარისხის განათლების მისაღებად, კერძოდ:

ა) აუდიტორიების, ლაბორატორიებისა თუ სამედიცინო ბაზების ხელმისაწვდომობას;

ბ) საბიბლიოთეკო რესურსების, მათ შორის სტუდებტთა სამუშაო ოთახების, თანასაქმიანობის სივრცისა და კომპიუტერული კლასების ხელმისაწვდომობას;

გ) სპორტული, კულტურული და სხვა არასაუდიტორიო აქტივობებისთვის საჭირო სივრცეების ხელმისაწვდომობას.

3. დამატებითი ფაქტორები სწავლების საფეხურების მიხედვით:

3.1 საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამებზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება:

ა) სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობასთან, და ამ პერსონალის დატვირთვა;

ბ) მისაღები სტუდენტების წლიური რაოდენობა;

გ) ჯგუფების რაოდენობა და მოცულობა ერთ მიღებაზე პროგრამის სხვადასხვა კომპონენტთან მიმართებით;

დ) პროგრამაზე დარეგისტრირებულ სტუდენტთა რაოდენობა ბოლო სამი წლის განმავლობაში ერთიან ეროვნულ გამოცდებზე;

ე) ბოლო სამი წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების განაცხადების რაოდენობა პროგრამაზე;

ვ) ბოლო სამი წლის განმავლობაში სტუდენტთა მობილობის წლიური კოეფიციენტი (მობილობით სტუდენტთა გადასვლა-გადმოსვლას შორის სხვაობის წლიური პროცენტული მაჩვენებელი);

ზ) პოტენციური კურსდამთავრებულების რაოდენობა.

3.2 სამაგისტრო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება:

ა) სტუდენტების რაოდენობის თანაფარდობა პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის რაოდენობასთან;

ბ) მისაღები სტუდენტების წლიური რაოდენობა;

გ) ჯგუფების რაოდენობა ერთ მიღებაზე;

დ) ბოლო ორი წლის განმავლობაში სტუდენტთა განაცხადების რაოდენობა პროგრამაზე;

ე) ბოლო ორი წლის განმავლობაში უცხო ქვეყნის მოქალაქეების განაცხადების რაოდენობა პროგრამაზე;

ვ) ბოლო ორი წლის განმავლობაში სტუდენტთა მობილობის წლიური კოეფიციენტი (მობილობით სტუდენტთა გადასვლა-გადმოსვლას შორის სხვაობის წლიური პროცენტული მაჩვენებელი);

ზ) პოტენციური კურსდამთავრებულების რაოდენობა;

თ) მაგისტრანტების რაოდენობის თანაფარდობა სამაგისტრო თემის ხელმძღვანელების რაოდენობასთან.

3.3 სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის დაგეგმვისას მხედველობაში მიიღება:

ა) ბოლო სამი წლის განმავლობაში დოქტორანტურაში ჩაბარების მსურველთა რაოდენობა;

ბ) პოტენციური კურსდამთავრებულების რაოდენობა 3 წელიწადში ერთხელ;

გ) სადოქტორო ნაშრომების დაცვის მაჩვენებელი;

დ) დოქტორანტების რაოდენობის თანაფარდობა სამეცნიერო ხელმძღვანელების რაოდენობასთან;

ე) ბოლო სამი წლის განმავლობაში სტუდენტთა მობილობის წლიური კოეფიციენტი (მობილობით სტუდენტთა გადასვლა-გადმოსვლას შორის სხვაობის წლიური პროცენტული მაჩვენებელი).

მუხლი 26. უნივერსიტეტში სტუდენტის ჩარიცხვის წინაპირობები

1. უნივერსიტეტის სტუდენტის სტატუსის მოპოვება ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და ამ დებულების შესაბამისად.
2. საბაკალავრო და ერთსაფეხურიან საგანმანათლებლო პროგრამაზე სტუდენტი ირიცხება ერთიანი ეროვნული გამოცდების, სამაგისტრო პროგრამაზე – საერთო სამაგისტრო და საუნივერსიტეტო გამოცდების, ხოლო სადოქტორო პროგრამაზე – შესაბამისი პროგრამითა და სკოლის სადისერტაციო საბჭოს დებულებით განსაზღვრული ჩარიცხვის წინაპირობების დაკმაყოფილების საფუძველზე.
3. უცხო ქვეყნის მოქალაქის ან საქართველოს მოქალაქისათვის კანონმდებლობით დადგენილ საგამონაკლისო შემთხვევებში, პირის ჩარიცხვა ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილი სხვა წესის შესაბამისად, აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე. აღნიშნულ საგამონაკლისო შემთხვევებში ინგლისურენოვან პროგრამებზე ჩარიცხვის დამატებით წინაპირობად განისაზღვრება ინგლისური ენის ცოდნის „ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების“ მინიმუმ „B2“ დონეზე დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატის წარდგენა ან აკადემიური საბჭოს მიერ დადგენილი საგამონაკლისო პირობების დაკმაყოფილება. ერთიანი ეროვნული გამოცდების ჩაბარების შემთხვევაში აკადემიური საბჭო უფლებამოსილია, გაზარდოს ინგლისური ენისთვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარი.
4. პირი სტუდენტის სტატუსის მოსაპოვებლად უნდა აკმაყოფილებდეს შესაბამის პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობებს და ვალდებულია გაიაროს ადმინისტრაციული რეგისტრაცია. ადმინისტრაციული რეგისტრაცია მოიცავს სარეგისტაციო განაცხადის შევსებას, სავალდებულო დოკუმენტების წარმოდგენასა და სწავლის საფასურის გადახდას. სტუდენტის მიერ პერსონალური მონაცემებისა და საკონტაქტო ინფორმაციის შეცვლისას, იგი ვალდებულია, აღნიშნულის თაობაზე შეატყობინოს უნივერსიტეტს. შეცვლილი პერსონალური მონაცემების შესაბამისად, სტუდენტის სარეგისტრაციო მონაცემებში შედის სათანადო ცვლილებები.
5. კანდიდატმა უნივერსიტეტში უნდა წარმოადგინოს:

   ა) პირადობის დამადასტურებელი დოკუმენტის (უცხო ქვეყნის მოქალაქეობის შემთხვევაში პასპორტის) ასლი;

   ბ) კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი (სკოლის ატესტატი, სამაგისტრო პროგრამაზე – ბაკალავრის დიპლომი, სადოქტორო პროგრამაზე – მაგისტრის დიპლომი ან მასთან გათანაბრებული კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტი, ხოლო შესაბამისი განათლების სხვა ქვეყნის საგანმანათლებლო დაწესებულებაში მიღების შემთხვევაში – საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ კვალიფიკაციასთან გათანაბრების დამადასტურებელი დოკუმენტი);

   გ) სამხედრო აღრიცხვაზე ყოფნის დამადასტურებელი დოკუმენტის ასლი (მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისათვის);

   დ) ფოტოსურათი (3X4);

   ე) სწავლების საფასურის იმ ოდენობის გადახდის დამადასტურებელი დოკუმენტი, რომელიც აღემატება მოპოვებულ სახელმწიფო სასწავლო, სოციალურ ან სხვა სახის გრანტს.
6. გადაყვანის წესით (მობილობით) ჩარიცხვის კანდიდატი ვალდებულია, უნივერსიტეტს დამატებით წარუდგინოს:

   ა) ამონაწერი სტუდენტის ჩარიცხვის ბრძანებიდან;

   ბ) სტუდენტის სასწავლო ბარათი (ნიშნების ფურცელი);

   გ) ცნობა სტუდენტის სტატუსის შესახებ (ამონაწერი სტატუსის შეჩერების/შეწყვეტის ბრძანებიდან).

   დ) ინგლისურენოვან პროგრამებზე - „ენათა ფლობის ზოგადევროპული კომპეტენციების“ მინიმუმ „B2“ დონეზე, ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატი ან

შესაბამისი ცოდნის დამადასტურებელი სხვა დოკუმენტი (ზემოაღნიშნული დოკუმენტაციის არქონის შემთხვევაში, სტუნდეს ეძლევა შესაძლებლობა, ინგლისური ენის კომპეტენცია დაადასტუროს შიდასაუნივერსიტეტო გამოცდით).

მუხლი 27. ხელშეკრულების გაფორმება

1. ჩარიცხვის წინაპირობების დაკმაყოფილების შემთხვევაში სტუდენტსა და უნივერსიტეტს შორის ფორმდება ხელშეკრულება შესაბამისი საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობის ვადით.
2. ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის შეცვლა დასაშვებია, თუ ის აუმჯობესებს სტუდენტის უფლებრივ მდგომარეობას.

მუხლი 28. აკადემიური რეგისტრაცია

1. სწავლების სემესტრული საფასურის დადგენილ ვადაში, გადახდის შემდგომ, სტუდენტი გადის აკადემიურ რეგისტრაციას. აკადემიური რეგისტრაცია გულისხმობს საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტების არჩევას სემესტრის განმავლობაში საშუალოდ 30 კრედიტის ოდენობით. თუ სწავლების დამამთავრებელ სემესტრში სტუდენტს საძიებელი აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად ესაჭიროება 15 კრედიტზე ნაკლები, ამ სემესტრის სწავლების საფასური გაანგარიშდება აღებული კრედიტის პროპორციულად.
2. სტუდენტს უფლება აქვს, სემესტრის დაწყებიდან ორი კვირის განმავლობაში შეცვალოს არჩევანი, გააუქმოს რეგისტრაცია ცალკეულ კომპონენტზე, ან აირჩიოს დამატებითი კომპონენტი.
3. საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული არჩევანის გამჭვირვალობის უზრუნველსაყოფად სტუდენტი უფლებამოსილია, რეგისტრაციისას აირჩიოს საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებული სავალდებულო ან არჩევითი კომპონენტები, ძირითადი და დამატებითი სპეციალობები.
4. სტუდენტს უფლება აქვს, განმეორებით აირჩიოს დაძლეული კომპონენტი, მიღებული სწავლის შედეგების გაუმჯობესების მიზნით.

მუხლი 29. მობილობა

1. სტუდენტისათვის უზრუნველყოფილია მობილობის უფლებით სარგებლობა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.
2. გარე და შიდა მობილობისას, იქმნება კრედიტების აღიარების კომისია, რომელიც ადგენს სტუდენტის მიერ საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში მიღწეული სწავლის შედეგების, აგრეთვე, ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ჩაბარებული კომპონენტების თავსებადობას, იმ საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებთან, სადაც ხორციელდება მობილობა. კომისია უფლებამოსილია, მოსთხოვოს სტუდენტს ჩაბარებული კომპონენტების სილაბუსები ან/და გამოცდის ჩაბარება. თავსებადობის შესახებ გადაწყვეტილებას კრედიტების აღიარების კომისიის წარდგინების საფუძველზე იღებს აკადემიური საბჭო.
3. პროგრამის მოდიფიცირების შემთხვევაში სტუდენტს ეთვლება როგორც მოდიფიცირებამდე, ისე მოდიფიცირების შემდგომ არჩეული კომპონენტი. პროგრამების გაერთიანების შემთხვევაში, თუ აღარ არსებობს რომელიმე მიმართულება, სტუდენტს ამ მიმართულებით მიღებული კრედიტები ეთვლება დამატებითი სპეციალობის ან თავისუფალი კონცენტრაციის ფარგლებში.
4. შიდა მობილობა ხორციელდება ახალი სასწავლო სემესტრის დაწყებამდე. დამატებითი პირობები შეიძლება დადგინდეს აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.

მუხლი 30. სტუდენტის სტატუსის შეჩერება

1. სტუდენტის სტატუსის შეჩერების საფუძველია:
   ა) პირადი განცხადება;

ბ) სწავლების სემესტრული საფასურის დადგენილ ვადაში გადაუხდელობა ან ფინანსური დავალიანება;

გ) ავადმყოფობა, რომელიც ხანგრძლივი დროით იწვევს სტუდენტის სასწავლო პროცესისაგან ჩამოშორებას;

დ) ორსულობის, მშობიარობისა ან/და ბავშვის მოვლის გამო შვებულება;

ე) უცხო ქვეყანაში უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში სწავლა, გარდა გაცვლითი საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სწავლისა.

2. სტუდენტის სტატუსის შეჩერების პერიოდში უნივერსიტეტი და სტუდენტი თავისუფლდებიან ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შისრულებისაგან, გარდა იმ ვალდებულებებისა, რომლებიც წარმოიშვა სტატუსის შეჩერებამდე.
3. სტატუსის შეჩერებისას სტუდენტს ენახება იმ სემესტრისთვის გადახდილი სწავლის საფასური, რომლის შესატყვისი მომსახურებაც მას არ მიუღია. მიმდინარე სემესტრის სწავლის საფასური სტუდენტს ენახება, თუ ის სტატუსის შეჩერების შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართავს შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს 4 კვირისა.

მუხლი 31. სტუდენტის სტატუსის აღდგენა

1. სტუდენტის სტატუსის აღდგენა შესაძლებელია სემესტრის დაწყებამდე, სწავლების სემესტრული საფასურის დადგენილ ვადაში გადახდით.
2. სხვა პროგრამაზე აღდგენის შემთხვევაში, კრედიტების აღიარების კომისიის მიერ სწავლის შედეგების თავსებადობის დადგენის საფუძველზე, შეიძლება განისაზღვროს დამატებითი კომპონენტების გავლის აუცილებლობა.
3. სტუდენტს სტატუსი არ აღუდგება, თუ არსებობს ამ დებულებით გათვალისწინებული სტატუსის შეწყვეტის საფუძველი.

მუხლი 32. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა

1. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის საფუძველია:

   ა) შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის დასრულება;

   ბ)სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში მობილობის წესით გადასვლა;

   გ) პირადი განცხადება;

   დ) სტუდენტის სტატუსის 5 (ხუთი) წელზე მეტი ხნით შეჩერება;

   ე) სწავლის შედეგების მიუღწევლობა, რაც ვლინდება ერთი და იმავე სავალდებულო კომპონენტის ორჯერ ვერდაძლევით ან პროგრამის მოთხოვნების შეუსრულებლობით დამატებითი 4 სემესტრის განმავლობაში, დოქტორანტის შემთხვევაში ასევე სწავლების პირველ სემესტრში გათვალისწინებული კომპონენტების დაუძლევლობა (შესაბამისად, 0 კრედიტის დაფიქსირება).

   ვ) სტუდენტის სტატუსთან შეუსაბამო ქცევა.
2. გადახდილი სწავლის საფასური სტუდენტს უბრუნდება, თუ ის სტატუსის შეწყვეტის შესახებ განცხადებით უნივერსიტეტს მიმართავს შესაბამისი სემესტრის დაწყებიდან არა უგვიანეს 4 კვირისა.

მუხლი 33. საგანმანათლებლო პროგრამის ხანგრძლივობა და სასწავლო პროცესის მიმდინარეობა

1. საბაკალავრო პროგრამა მოიცავს 240 კრედიტს (8 სემესტრს), ერთსაფეხურიანი მედიცინის პროგრმა - 360 კრედიტს (12 სემესტრს), ერთსაფეხურიანი სტომატოლოგიის პროგრამა 300 კრედიტს (10 სემესტრს), სამაგისტრო პროგრამა – 120 კრედიტს (4 სემესტრს), ხოლო სადოქტორო პროგრამის ხანგრძლივობაა არანაკლებ 6 სემესტრი და მისი სასწავლო კომპონენტი მოიცავს არაუმეტეს 60 კრედიტს.

2. სასწავლო წელი იყოფა შემოდგომისა და გაზაფხულის ორ 6-თვიან სემესტრად. შემოდგომის სემესტრი იწყება სექტემბრის თვის მეორე ორშაბათს, ხოლო გაზაფხულის სემესტრი მარტის თვის მეორე ორშაბათს. სასწავლო პროცესის დაწყებისა და დასრულების ვადები ყოველწლიურად დგინდება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
3. სტუდენტი საგანმანათლებლო პროგრამით მისთვის მინიჭებული თავისუფლების ფარგლებში ქმნის თავის პროფილს: სურვილისამებრ ახდენს ძირითადი და დამატებითი კვალიფიკაციის ფორმირებას, აკომპლექტებს კონცენტრაციებს და წყვეტს შეთავაზებული კომპონენტების არჩევის თანმიმდევრობას.
4. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის შეთავაზება არის უშუალოდ ამ კომპონენტის განხორციელებაზე პასუხისმგებელი პირის პრეროგატივა. უნივერსიტეტი უზრუნველყოფს შესაბამისი სემესტრის სავალდებულო და არჩევითი საგნების გონივრული ოდენობით შეთავაზებას.

მუხლი 34. სწავლების ენა

სწავლების ენა განისაზღვრება თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით და ასახულია უშუალოდ საგანმანათლებლო პროგრამაში.

მუხლი 35. სტუდენტის სასწავლო დატვირთვის კრედიტებით გაანგარიშება

სტუდენტის სასწავლო დატვირთვა აისახება კრედიტებში. ერთი კრედიტი 30 ასტრონომიული საათია. სტუდენტის დატვირთვა განსაზღვრულია საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტის სილაბუსით და მოიცავს: საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობის საათებს. სააუდიტორიო აკადემიური საათია 50 წუთი, შესვენება – 10 წუთი.

მუხლი 36. პროგრამის კომპონენტი

1. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტი 19 კვირაზეა გათვლილი. ცალკეულ შემთხვევაში დასაშვებია უფრო მოკლე ვადაზე კონცენტრირებული კომპონენტის შეთავაზებაც.
2. საკონტაქტო და დამოუკიდებელი მუშაობისა და ცოდნის შეფასების სახე დამოკიდებულია სწავლის შედეგების მიღწევის მეთოდზე.

მუხლი 37. სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წესი

1. საგანმანათლებლო პროცესში ინდივიდუალური მიდგომის დანერგვისა და სტუდენტის მხარდაჭერისათვის მისი განსხვავებული მოთხოვნების, სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და აკადემიური მომზადების დონის გათვალისწინებით დაშვებულია სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით სწავლების შესაძლებლობა.
2. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების წინაპირობას შეიძლება წარმოადგენდეს:

   ა) საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტული სასწავლო გეგმით სტუდენტის მიერ სწავლის გაგრძელების შეუძლებლობა;

   ბ) სტუდენტის განსხვავებული მოთხოვნების გათვალისწინება (გარე და შიდა მობილობის განხორციელებისას, სტუდენტის აკადემიური მომზადების განსხვავებული დონე).

   გ) საგანმანათლებლო პროგრამის გაუქმების შემთხვევაში, რა დროსაც უნივერსიტეტი პროგრამაზე არსებულ სტუდენტს უზრუნველყოფს შემდგომი განათლებით.
3. სტუდენტმა ინდივიდუალური გეგმის შედგენის მოთხოვნით უნდა მიმართოს შესაბამისი პროგრამის განმახორციელებელ სკოლას.

4. სკოლის ადმინისტრაცია ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების საკითხს განიხილავს სტუდენტის მონაწილეობით და უნივერსიტეტის რესურსების გათვალისწინებით იღებს გადაწყვეტილებას.
5. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებისას სკოლამ მხედველობაში უნდა მიიღოს, რომ წელიწადში სტუდენტის დატვირთვა შეიძლება იყო 60 კრედიტზე ნაკლები ან მეტი, მაგრამ არაუმეტეს 75 კრედიტისა. დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში სტუდენტის ინდივიდუალური სასწავლო გეგმით შეიძლება სტუდენტის სასწავლო დატვირთვა ერთი აკადემიური წლის განმავლობაში განისაზღვროს 60-ზე მეტი კრედიტით, დიპლომირებული მედიკოსის საგანმანათლებლო პროგრამის დარგობრივი მახასიათებლით დადგენილი ხანგრძლივობის ფარგლებში 60-ს ზევით დამატებული კრედიტების საერთო რაოდენობა ჯამში არ უნდა აღემატებოდეს 15 კრედიტს.

მუხლი 38. ცოდნის შეფასება

1. სწავლის შედეგების მიღწევის შესაფასებლად გამოიყენება ცოდნის შეფასების მრავალკომპონენტიანი სისტემა.
2. თითოეულ კომპონენტში სავალდებულოა შუალედური შეფასებები და დასკვნითი გამოცდა. გამოცდა შედგება ან მოიცავს წერით ელემენტს. დასკვნითი გამოცდა არ უნდა აღემატებოდეს 40 ქულას (საერთო შეფასების 40%).
3. უნივერსიტეტში მოქმედებს 100-ქულიანი (100%-იანი) შეფასების სისტემა. შეფასების სისტემა ითვალისწინებს ხუთი სახის დადებით შეფასებას:

   ა) (A) ფრიადი - მაქსიმალური შეფასების 91% - 100%;

   ბ) (B) ძალიან კარგი - მაქსიმალური შეფასების 81%-90%;

   გ) (C) კარგი - მაქსიმალური შეფასების 71%-80%;

   დ) (D) დამაკმაყოფილებელი - მაქსიმალური შეფასების 61%-70%;

   ე) (E) საკმარისი - მაქსიმალური შეფასების 51%-60%.
4. კომპონენტი დაძლეულია 51 ქულის (51%) მიღების შემთხვევაში. დასკვნითი გამოცდისათვის განსაზღვრული მინიმალური კომპეტენციის ზღვარია დასკვნითი შეფასების 50%.
5. დასკვნით გამოცდაზე დაიშვება სტუდენტი, რომელსაც შუალედური შეფასებებისა და დასკვნითი გამოცდის მაქსიმალური ქულის გათვალისწინებით უგროვდება 51 ქულა.
6. სტუდენტი, რომელმაც ვერ დააგროვა 51 ქულა ან ვერ გადალახა დასკვნითი გამოცდისათვის დადგენილი მინიმალური კომპეტენციის ზღვარი დამატებით გამოცდაზე დაიშვება, თუ მიღებული აქვს 41 ქულა.
7. დამატებითი გამოცდა დაუშვებელია ჩატარდეს ძირითადი გამოცდის ჩატარებიდან 5 დღეზე მოკლე ვადაში.
8. შეფასება სტუდენტს ეცნობება ელექტრონულ პორტალზე.

მუხლი 39. გამოცდაზე სტუდენტის ქცევის წესები

1. გამოცდების ჩატარებას უზრუნველყოფს საგამოცდო ცენტრი. გამოცდების პროცესის მიმდინარეობისას სავალდებულოა აკადემიური პატიოსნების სტანდარტის დაცვა და შესაბამისად არ არის ნებადართული:

   ა) საუბარი და ნებისმიერი სახის მინიშნება;
   ბ) არალეგიტიმური დამხმარე საშუალების გამოყენება;
   გ) გამოცდის დასრულებამდე საგამოცდო აუდიტორიის დატოვება;
   დ) მობილური ტელეფონით სარგებლობა.

2. პირველი პუნქტით განსაზღვრული რომელიმე ქმედების ჩადენისას სტუდენტი იხსნება გამოცდიდან, ნაშრომი არ ფასდება და სტუდენტი კარგავს შესაბამისი გამოცდის აღდგენის უფლებას.
3. გამოცდის მიმდინარეობისას ნებისმიერი შეკითხვის არსებობის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა აიწიოს ხელი და მხოლოდ დამკვირვებლის მისვლის შემდგომ დასვას შეკითხვა.
4. გამოცდის მიმდინარეობისას ნებადართულია წყლისა და მედიკამენტების, ასევე გამოცდის საჭიროებებიდან ან სტუდენტის სპეციალური საჭიროებიდან გამომდინარე სხვა აუცილებელი ნივთებისა თუ სასწავლო მასალის გამოყენება.
5. შუალედური ან/და ფინალური გამოცდის კომბინირებულ ფორმატში ჩატარებისას, ზეპირ გამოცდას ატარებს სასწავლო კომპონენტის წამყვანი ლექტორი. გამოცდა ექვემდებარება აუდიოვიზუალურ ჩაწერასა და დაფაილებას, იმგვარად რომ შესაძლებელი იყოს მისი გასაჩივრება, პასუხის გადასინჯვა და ხელახლა შეფასება. ზეპირი ფორმით ჩასაბარებელ გამოცდაზე მიღებული შეფასება, სტუდენტს ეცნობება ინდივიდუალურად პორტალზე ქულის ატვირთვით და არა საჯაროდ.

მუხლი 40. შეფასების გასაჩივრება

1. სტუდენტი უფლებამოსილია უშუალოდ გაეცნოს შეფასებულ ნაშრომს და გაასაჩივროს მიღებული შედეგი სტუდენტურ ელექტრონულ პორტალზე ასახვიდან 3 კალენდარული დღის ვადაში.
2. სტუდენტმა განცხადებაში უნდა მიუთითოს კონკრეტულად რომელ საკითხს ან შეფასების რა კომპონენტს ასაჩივრებს.
3. განცხადების მიღებიდან 7 დღის ვადაში სკოლა უზრუნველყოფს გასაჩივრებული ნაშრომისა და სტუდენტის საჩივრის გადაცემას კომპონენტის ხელმძღვანელისათვის, რომელიც განიხილავს საჩივარს და ნაშრომის განმეორებითი გადახედვის საფუძველზე ღებულობს შემდეგ გადაწყვეტილებებს:
   ა) საჩივრის დაკმაყოფილებისა და შეფასების მომატების შესახებ. იმ შემთხვევაში, თუ შეფასება იცვლება ორ ქულაზე მეტით, კომპონენტის ხელმძღვანელი ვალდებულია დაასაბუთოს მისი გადაწყვეტილება;
   ბ) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
4. კომპონენტის ხელმძღვანელის გადაწყვეტილებით, საჩივრის განხილვის მიზნით სკოლა უფლებამოსილია შექმნას სპეციალურ დროებითი კომისია შემდეგი შემადგენლობით: კომპონენტის ხელმძღვანელი, კომპონენტის განხორციელებაში ჩართული ან ალტერნატიული სხვა კვალიფიციური პირი, სკოლის დეკანი. სტუდენტი კომისიის წინაშე წარდგება დასაბუთებული საჩივრით, შესაძლებელია კომისიის მხრიდან დამატებითი კითხვების დასმა გასაჩივრებულ საკითხთან მიმართებით.
5. სტუდენტის საჩივრის დაკმაყოფილების ან არდაკმაყოფილების თაობაზე გადაწყვეტილება მიიღება კომისიის ჩატარებიდან 1 სამუშაო დღის ვადაში და შედეგი აისახება სტუდენტურ ელექტრონულ პორტალზე.
6. კომისიის მიმდინარეობის თაობაზე დგება ოქმი, რომელიც ხელმისაწვდომი უნდა იყოს უშუალოდ დაინტერესებული სტუდენტისათვის.

მუხლი 41. გამოცდის აღდგენა

1. სტუდენტი უფლებამოსილია მოითხოვოს გამოცდის აღდგენა, თუ სტუდენტი გამოცდაზე არ გამოცხადდა ჯანმრთელობის მდგომარეობის ან სხვა ისეთი მიზეზით, რაც სკოლის დეკანის მიერ საპატიოდ იქნება მიჩნეული. გაცდენის თაობაზე სკოლის ადმინისტრაციას უნდა ეცნობოს შესაბამისი გარემოებების დადგომიდან დაუყოვნებლივ.
2. ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო გამოცდის გაცდენის შემთხვევაში, სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს უფლებამოსილი სამედიცინო დაწესებულების/ექიმის მიერ გაცემული ცნობა გამოცდაზე გასვლის შემაფერხებელი გარემოების შესახებ. სასურველია შესაბამისი ცნობა წარმოდგენილ იქნეს დაუყოვნებლივ, მაგრამ გამოცდის ჩატარებიდან არაუგვიანეს 5 დღის ვადაში.
3. აღდგენითი გამოცდა იგეგმება გამოცდების აღდგენის კვირეულში.

მუხლი 42. კვალიფიკაციის დამადასტურებელი დოკუმენტის გაცემა

საგანმანათლებლო პროგრამა დასრულებულია, თუ სტუდენტმა მიაღწია პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს. სტუდენტს ენიჭება პროგრამით გათვალისწინებული აკადემიური ხარისხი და ეძლევა კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომი.

მუხლი 43. სტუდენტის სტატუსთან შეუსაბამო ქცევა და პასუხისმგებლობის პროცედურა

1. სტუდენტის სტატუსთან შეუსაბამოა ისეთი ქცევა, რომელიც ვლინდება სასწავლო პროცესის მიმდინარეობის ხელის შეშლით, ან სწავლის შედეგების შეფასებაზე დაუშვებელი ზემოქმედებით.
2. სტუდენტის სტატუსთან შეუსაბამო ქცევა იწვევს შესაბამის პასუხისმგებლობას.
3. პასუხისმგებლობის დაწესების გადაწყვეტილება მიიღება ამ მიზნით შექმნილი დისციპლინური კომისიის მიერ და უნდა იყოს დასაბუთებული და პროპორციული.
4. სტუდენტი უფლებამოსილია, დაესწროს საკითხის განხილვას და მიაწოდოს კომისიას მის ხელთ არსებული ინფორმაცია და მტკიცებულებები.
5. დისციპლინური კომისია გადაწყვეტილებას იღებს კონსენსუსის წესით.
6. პასუხისმგებლობის სახეებია:

   ა) გაფრთხილება;

   ბ) არამართლზომიერად მიღებული შეფასების გაუქმება;

   გ) სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა.
7. პასუხისმგებლობის ზომად სტუდენტის სტატუსის შეწყვეტა გამოიყენება მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ სტუდენტის მიერ განხორციელდა:

   ა) დოკუმენტების ან ჩანაწერების გაყალბება;

   ბ) შეფასების მიღების მცდელობა სხვისი ნაშრომის სრულად ან ნაწილობრივ მითვისებით, მოტყუებით, ფიზიკური ან ფსიქოლოგიური ზემოქმედებით;

   გ) სტუდენტის, აკადემიური, ადმინისტრაციული ან დამხმარე პერსონალის მიმართ ძალადობა, მუქარა ან განსაკუთრებულად უხეში შეურაცხყოფა;

   დ) განმეორებითი დისციპლინური გადაცდომა, გაფრთხილებიდან 1 წლის განმავლობაში;

   ე) საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსით გათვალისწინებული სხვა დანაშაულის ჩადენა.
8. სტუდენტის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო, დისციპლინური კომისიის გადაწყვეტილების საფუძველზე.